

**რუსულან კაშია**

**აღმოსავლური ლექსიკა ქართული  
ისტორიული (სავაჭრო-ეკონომიკური)  
საბუთების მიხედვით**

საუკუნეების მანძილზე აღმოსავლურ სამყაროსთან მჭიდრო პოლიტიკურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა გავლენა იქონია ქართულ ენაზე. სხვადასხვა დროს შემოვიდა და დამკვიდრდა აღმოსავლური ენობრივი ნასესხობანი. „სიტყვათა სესხება, როგორც ენის შემადგენლობის შევსებისა და გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყარო, ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს“ (მ. ანდრონიკაშვილი, 1966: 1).

ენობრივი ნასესხები მასალის გამოყოფასა და შესწავლას მკვლევართა არაერთი მნიშვნელოვანი შრომა, მონოგრაფია მიეძღვნა.

ჩვენ მიერ განსახილველად წარმოდგენილი აღმოსავლური სიტყვები ძირითადად მკვიდრდება XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის ისტორიულ საბუთებში. უფრო ადრეულ დოკუმენტურ წყაროებში ეს ტერმინები დამოწმებული არ არის. ნიშანდობლივია, რომ ისინი არ დასტურდება სხვა შინაარსის ისტორიულ დოკუმენტებში (ნასყიდობები, წყალობები).<sup>1</sup>

ქართულ ენაში ზოგმა სიტყვამ ახალი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა, ზოგიერთი ოდნავ შეცვლილი ფორმით დამკვიდრდა.

აღნიშნულ პერიოდში ვაჭართა ფენის ტერმინოლოგიაში აღმოსავლური ლექსიკის შემოსვლას თავისი მიზეზები აქვს: როსტომ ვალის მიერ (XVII ს. შუა ხანები) ქართულ სამოხელეო სისტემაში ირანული წესების დამკვიდრებამ თავისი გავლენა იქონია მეტყველებაზე. XVIII საუკუნის II ნახევარში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებისათვის შედარებით ხელშემწყობი პირობები შეიქმნა. ქართლ-კახეთის გაერთიანებამ, იმერეთში სოლომონ I-ის ენერგიულმა მოღვაწეობამ რამდენადმე უკეთესი პირობები შექმნა საგარეო სავაჭრო ურთიერთობებისათვის. ქართველი (ასევე საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების) ვაჭრები ძირითადად ირანსა და თურქეთთან ვაჭრობდნენ. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო სატრანზიტო ფუნქციას ასრულებდა ამ ქვეყნებს შორის. ფულად-სასაქონლო ურთიერთობების გააქტიურებამ სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის ისტორიულ საბუთებში ირანული, თურქული, არაბული (სპარსულ და თურქულ ენებში დამკვიდრებული და ამ გზით შემოსული) ტერმინების გამოყენება გამოიწვია.

ნასესხებ ტერმინთა სემანტიკური გააზრება უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული დოკუმენტური მასალის შესწავლისათვის.

<sup>1</sup> მადლიერებას გამოვხატავთ აღმოსავლურ მკვლევართა (ლ. ჭველიძე, ნ. სვინტრაძე, გ. ქამუშაძე) მიმართ, რომელთა დახმარებით ითარგმნა ჩვენი საკვლევი თემისათვის საინტერესო ტერმინები.

**ბათლამა** – ბათილამა (თურქ.) – გაუქმებული ვექსილი თამასუქი ქუთაისელი ვაჭრებისა მოქალაქე ბარბაქაძისადმი: „...თამასუქის ბათლამათ შენტვის კერძათ ეს ყაბზი (ხელწერილი) მომიცია, რომ შენთან საქმე აღარა მაქვს იმ თამასუქის თეთრი“ (დ. უჩანეიშვილი, 1967: 144).

**ბორჯი** – ვალი, თურქ. – დ. ჩუბინაშვილი. აგიაშვილების სავალო საბუთის მიხედვით, შვილებს გადაუხდიათ მამის ვალი – 400 მანეთად „დაწინდული“ გლეხების ნაწილი დაუხსნიათ. „ახლა დანარჩენი ბორჯზე გადავიდოთ“ – ანუ ნაწილი ვალი მათ კვლავ რჩებათ (ქიმ, №2224).

**დაფათი** ზუსტი შესატყვისი ვერ დავაზუსტეთ, ქართულ საბუთებში უფრო „პირობის“ მნიშვნელობით გამოიყენება:

1. ლომსიათხევის სამღებროს იჯარა, გაცემული სოლომონ მეფის მიერ მელქონ იჯარადარისა და მისი ამხანაგებისადმი, 1808 წ.: „ასე რომ ლომსიათხევის სამღებრო მოგყიდეთ მისი შემოსავლით, რვა იმერულ ქესათ, რომ დაფათით უნდა მოგვცეთ, ერთი წლით მოგყიდეთ... რაც იმუშაო, მის ბაჟი არ უნდა ავილო და რაც სხვა მოიტანოთ და ან რაც გაიტანოთ, ყველას ბაჟი უნდა მამცეთ“ (ქიმ, №1994).

2. იჯარის აღების წიგნი, მიცემული ხითარაშვილის მიერ მოლარეთუხუცესისათვის, 1750 წ.: „დაფათით მივცე იმ პირობით, რომ გარეგანს საქონელზე თუ ღვინოზე დასტურით ბაჟი აღებულ იყოს, მეც ისე ავილო“ (ხეც, Ad – 113).

3. პირობის წიგნი, მიცემული უცნობი პირისა მურვანისშვილ და ბააკასათვის სურამის ბაჟის შესახებ, 1750 წ.: „...ამ დაფათით სარქარში უნდა მიაბარო“ (ხეც, Ad – 1453).

**თავნი/თავანი** – თავი – დ. ჩუბინაშვილი. თურქ. – ქერი. თავნი ანუ სავაჭრო ოპერაციის ჩატარებისათვის ძირითადი საბრუნავი თანხა. სავაჭრო საბუთებში გვხვდება მონაცვლეობით, ორივე ფორმით: თავნი და სარმია. თავნი გვხვდება როგორც სავაჭრო შინაარსის მქონე საბუთებში, ასევე იმ მასალაში, სადაც თანხის ვალად გაცემაზეა საუბარი.

1. 1807 წ. დაწერილი საამხანაგო წიგნი ნიკოლოზ ქორქაშვილისა ჩიკვაშვილ ისხაკასადმი: „ცხრაას ორმოცი ყურუში... მოგება საზიაროდ და მთავნი შენი არის... რაც მოიყვანს ღმერთი, სულყველა ორივესი არის“ (ქიმ, №1621).

2. იმავე წლის საამხანაგო წიგნში, ნ. ქორქაშვილსა და გუარაშვილ პეტროზას შორის, ვკითხულობთ: „თავნი ათას ხუთასი ყურუში“ ნ. ქორქაშვილს ეკუთვნის, პეტროზას ამხანაგობაში შეაქვს „ხუთასი ყურუში“ და საქონელიც სავაჭროდ მას მიაქვს – „ამ თეთრით მე პეტროზამ უნდა ვიმგზავრო სიმართლით და სიმართლით გავისარჯო, რაც ღმერთმა მოგება მომცეს, ნახევარი ნიკოლოზისია და ნახევარი ჩემი“ (ქიმ, №1993).

**თამასუქი** – სესხისა და ვალის ხელწერილი – სპ. – დ. ჩუბინაშვილი. ხეჩინაშვილ სიმონასა და აბრამა ენოქაშვილის თამასუქი. ქუთაისელ ვაჭრებს საქმის დაწყების წინ აუღიათ კრედიტი დავით ოცხელისაგან. საბუთი წარმოადგენს ვალის გასწორების ანგარიშს: „ამ თამასუქის თეთრიდან შენ და აბრამა გაიყარეთ და შენ ორასი ყურუში დაგედვა...“ (დ. უჩანეიშვილი, 1967: 144).

**თარღუ/თარღო** - სიტყვის მნიშვნელობა აღმოსავლურ ენებში ვერ დავაზუსტეთ. ქართული საბუთების მიხედვით, სავარაუდოდ, „მოგების“ მნიშვნელობით იხსენიება:

1. 1788 წელს დაწერილი საამხანაგო წიგნი „იავანგულაანთ აფრამასშვილი ზურაბასი სტეფანასადმი“ - „მოგება ნახევარი ბატონი სტეფანასია და ნახევარი მოგება მე ზურაბასია... ჯუქამი (დანაკლისი) ესეც მოგების კვალათ არის, როცა მოინდომებ, შენი სარმია (თავნი) გავანადლო და თავისი ანგარიშით მოგაბარო, რაც თარღუ ვქნა, ისიც შუა მოვიტანო“ (ცია, 1450, ფონდი 18, საქმე 21).

2. 1794 წლის საამხანაგო წიგნი: „ნახევარი მე ჩემი სათავენოთი... ისიც ამ კვალათ გავიყოთ, თუ სადმე თარღო ვქნა, ისიც საერთო იყოს...“ (ცია, 1450, ფონდი 25, საქმე 50).

**მაბღალი** - თანხა, ფული - სპ. საამხანაგო წიგნი დავითისშვილ მელქოასი არუთინასადმი, 1794 წ.: „ეს მაბღალი ჩემს ხელთ ვამუშაო, რაც ღმერთმა მოგება მამცეს... თუ სადმე თარღუ (ზარალი) ვქნა, ისიც საერთო იყოს“ (ცია, 1450, ფონდი 25, საქმე 50).

**მუჯასმა** - მუჯაალი - არ. - ვადის მიცემა წერილით, დ. ჩუბინაშვილი. ანტონ ქურთოევის წერილი ნიკოლოზ ქორქაშვილისადმი: „ოთხ თვეზე აქა ჩაყასუმი იყო... უნდა წავსულიყავ... ისიც ვერ გაბედე, ვაითუ ეწყინოს, თუ ერთი ჯუქამი (დანაკლისი) მოვიდეს-მეთქი, მაღლობა ღმერთს უზიანო მოვრჩით... თებერვლის ნახევარს წამოვალთ, თუ მუჯასმა არა დაგვაგვიანა და გადმოვიდა. საქონელი ძალიან ძვირია.. მიერთვას სიდაბლითა სტამბოლიდან ქუთაისს“ (ქიმ, №2236).

**რუსუმი** - გადასახადი - არ.

1. 1786 წ. დაწერილი „მოხელეების რუსუმის ნუსხა“: „ამ წლის გორის ბაჟიდან ბაბალაშვილ ავთანდილასი იღ (14 თეთრი) აქედან ერგებათ... ამ წლის ჩელიექის ხარჯის ჯამი არის... ჩვიც (1868 თუმანი) ამ წლის ჩელიექის ანგარიში უნდა დაიწეროს“ (ნ. ბერძენიშვილი, 1955: 56).

2. 1799 წ. დაწერილი ბაზრის ბაზაზბაშობის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ როსტომაშვილისათვის: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოდეთ ბაზრის ბაზაზბაშობა, ასე რომ როგორც ამას წინათ ბაზაზბაშები მოქცეულან, შენც ისე უნდა მოიქცეთ და რაც ჩვენის სარქრისათვის და ან სხვისათვის ბაზარს ან ერთმეოდეს და ან ეძლეოდეს ეს ყველა უთქვენოდ არ უნდა მოხდებოდეს და რაც ამას წინათ ბაზაზბაშს რუსუმი და სარგო ჰქონდესთ, თქვენც ისე უნდა მოგეცემოდესთ“ (კ. კუცია, 1984: 195).

3. „დასტურლამალი“ - 1703-24 წწ.: „ეს ყაფანი ხან ორმოც თუმნად და ხან მეტ-ნაკლებად იჯარად აღების მერე, ამისი რუსუმი ათისთავი აიღების, ნახევარი სახლთუხუცესისა არის და ნახევარი ვეზირისა და მდივნებისა“ (ი. ლოლიძე, 1965: 283).

**სარმია / სარმაიე** - თანხა, შემოსავალი - სპ. 1812 წ. დაწერილი „შეკრულობის წერილი“ ნიკოლოზ ქორქაშვილსა და თომა აკოფაშვილს შორის

სახელმწიფო „ოტკის“ შესყიდვაზე - „სარმია ორივეს უნდა იყოს“ (ქიმ, №245).

**სავადი** - შავად ნაწერი, მონახაზი არ.

1. 1801 წ. საამხანაგო წიგნი ნაზარასი: „შარუანთ პარუნ შაროასი თავნი არის. რომ ამის სავადზე (პირი) ხელი მოვაწერინე... კიდევ ერთი სანათი მიმაქვს, მილდისი ზურაბასშვილ სოლომონასი, რომ ამის სავადზედაც ხელი მოვაწერინე“ (ციმ, 1450, ფონდი 14, საქმე 148).

2. საამხანაგო წიგნი, 1780 წ. „...ამისი ასლი ვნახე და სავადს ხელი მოვაწერე. სოლომონ ტერ შამოვანოვ. ...ამისი ასლი ვნახე, სავადზედ ხელი მოვაწერე. დავით ყორღანოვ“ (ვ. გამრეკელი, 1980: 68).

**სანათი** - ხელწერილი, თამასუქი - თურქ. - დ. ჩუბინაშვილი. „მოზდოკს მივალ, ამ ზემო თანხის გარდა ერთი ფარდი სანათი მიმაქვს... კიდევ ერთი სანათი... სოლომონასი, რომ ამის სავადზედაც ხელი მოვაწერინე“ (ციმ, 1450, ფონდი 14, საქმე 148).

**ურდუნა** - სახლი, ქვეყანა, საცხოვრებელი - თურქ.

1. 1779 წ. დათარიღებული საამხანაგო წიგნი აფრამასშვილ ზურაბასი ბასტამანთ მილდისი მელქუასშვილ ბატონ სტეფანასადმი: „ასრე რომ სამოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი გამოგართვი სარმიათ, რომ ნახევარი იქნება ამისი ლ ამდენი. ეს ზემო მებრალი (თანხა) ქვემო თარიღილამ ჩემ ხელში ვასაქმო. შენის მასლაათით საითაც ხეირათსა ნახაბ და მირჩევ. იქით უნდა წავიდე. უშენ მასლაათით ურდუნა არა მაქვს, რომ საითმე წავიდე. რამდენი ხანი ჩემ ხელში ვასაქმო“ (ციმ, 1450, ფონდი 18, საქმე 21).

2. საამხანაგო წიგნი, 1780 წ.: „ღმრთის წინაშე შევიყარენით ამხანაკათ ჩვენ, ქალაქს მოსახლე ტერ ასატურასშვილი არაქელამ და დუშეთს მოსახლე აზიზაშვილმა აკოფამ. არის არაქელას სარმაიე (დადებული თანხა) 75 თუმანი და არის აკოფას სარმაიე 50 თუმანი... ეს თანხა მოზდოკილამ წავილო ქალაქს. შენი ურდუნასთან გავყიდო. თუ მე წამოვიდე, აკოფამ, შენი ურდუნასთან ხრიდი (ნასყიდი) ვქნა და წამოვილო. შენი ანგარიში შენს ურდუნას მოვაბარო“ (ვ. გამრეკელი, 1980: 68).

**ქესა** - ქისა, საფულე - არ.-სპ.: დ. ჩუბინაშვილი - 30 თუმანი. ქესა 500 მარჩილს ანუ 120 ვერცხლის მანეთს უდრიდა.

1. 1808 წ. იჯარით გაცემული ლომსიათხევის სამღებროს საიჯარო თანხაა - „რვა იმერული ქესა“ (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, №1994).

2. სოლომონ მეფე იღებს ნიკოლოზ ქორქაშვილისაგან „სამ ქესა თეთრს“ (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, №116).

3. სათავდებო საბუთით (1721-40 წლები) ონელი ებრაელები იღებენ ვალს „ხუთ ქესა თეთრს“ (ქიმ, №332).

4. 1810 წელს გიორგი წულუკიძეს ვალად დასდებია „ათი ქესა“. შემდეგ „ექვსი ქესა თეთრი“ (ქიმ, №1624).

5. ანტონ ქუროთოევის წერილი ნიკოლოზ ქორქაშვილისადმი - „კულაშულ ურიებს ვეთათბირე, თუ ამოხვალ. საქმე ვარიგდება, ათ ქესამდე საქმე ვარიგდება“ (ქიმ, №2239).

**ყავზი/ყაბზი** - ბარათი, ხელწერილი - არ.

1. „ყოველს წელიწადს თავისი **ყაბზით** ქალაქის ბაჟის ჩელიეჟიდამ აიღებდეს და ჩვენის კარის მოხელენი ამის **ყაბზს** მებაჟეს ანგარიშში ჩაუგდებდენ“ (ბრძანება ნაზარალიხანისა, ხეც, Hd - 13).

2. „მე გელოვანს გიორგის მართებს შენ ნიკოლოზ ქორქაშვილის თანხის 52 მარჩილი თეთრი, ჩემი 300 მარჩილის **ყავზი** რომ გაქვს, ის ფუჟია და არაფელი მართებს იმ **ყავზში**“ (ქიმ, №2229).

3. ანგარიშის წიგნი - „ღვთით ეს **ყავზი** რომ დავაწერინე მე, ოცხელმა დავითმა და მოგეცი შენ, ხეჩინაშვილ სიმონას, ამ ჯაათზე, რომ შენი და აბრამა ენოქაშვილის თამასუჟი მაქვს 540 ძველი მარჩილის, ამ თამასუჟის თეთრიდან შენ და აბრამა გაიყარენით და შენ ორასი ყურუში დაგედვა და ეს ორასი ყურუში შენგან ავიღე და სხვაში აბრამამ შემიჭერა და თამასუჟის ბათლამათ შენთვის კერძათ ეს **ყაბზი** მომიცია, რომ შენთან საქმე აღარა მაქვს ამ თამასუჟის თეთრი“ (დ. უჩანეიშვილი, 1967: 144).

**ყადალა** - აკრძალვა, აღკვეთა. დაშლა, გაფრთხილება - არ. დ. ჩუბინაშვილი; ი. გრიშაშვილი.

ბრძანება იმამყულიხანისა აბრეშუმზე ყადალას დაღების შესახებ, 1703 წ.: „ენისელში ჩვენს საზასოს, თუ საბატონოს კაცის შვილს ყმას აბრეშუმში დაექიროს, მანამდის ჩვენს კარზედ ნიხრი არ გავაკვეთინოთ... ძალიანი **ყადალა** უყავი. მოიტანონ აქ ჩვენს კარზედ, ბაზარში გაყიდონ“ (ნ. ბერძენიშვილი, 1953: 275).

**ყასუმი** - განაწილება, ნაწილი - სპ. ანტონის წერილი ნიკოლოზ ქორქაშვილისადმი: „ოთხ თვეზე აქა ჩა **ყასუმი** იყო... უნდა წავსულიყავ ყარაზე, ისიც ვერ გავბედე. ვაითუ ეწყინოს, თუ ერთი ჭუქამი (დანაკლისი) მოვიღეს-მეთქი“ (ქიმ, 2236).

**ყაფანი/ყაფი** - გამოსაღები ფულისა. დ. ჩუბინაშვილი; სავაქრო ადგილი, სადაც დიდი სასწორიცაა - ი. გრიშაშვილი.

1. „ქალაქის ბაჟის, **ყაფნისა** და ციხის კარის შართლამა“ - დაწერილი 1736 წელს (ი. დოლიძე, 1965, №101).

2. დასტურლამალი - „**ყაფნის** რიგი ასრე არის...“ (ი. დოლიძე, 1965: 282).

**შართლამა** - არაბული წარმოშობის თურქული. შართ - პირობა, ლა - სახელიდან ზმნის მაწარმოებელი.

1. „ეს **შართლამა** მოგეცით შენ მურვანისშვილს მურვანსა და ბააკას, ასე რომ წლევანდელი სურამის ბაჟი ამ ნავროზიდამ იმ ნავროზამდის ათ თუმნათ მოგეცით, ეს დაფათით სარქარში უნდა მიაბარო“ - 1752 წ. (ხეც, Ad - 1453).

2. „ქალაქის ბაჟის, **ყაფნისა** და ციხის კარის **შართლამა**“ - დაწერილი 1736 წელს (ი. დოლიძე, 1965, №101).

**ჩელიეჟი** - მეორმოცედი - დ. ჩუბინაშვილი. განაწილება, ნაწილი - სპ.

1. „გაგვიჩენია ჯამაგირი ჩვენის პაპიდაშვილს ელენესთვინ სამი თუმანი. ყოველს წელიწადს თავისი **ყაბზით** (ბარათი, ხელწერილი) ქალაქის ბაჟის **ჩელიეჟი**დამ აიღებდეს და ქვეყნის კარის მოხელენი ამის **ყაბზს** მებაჟეს ანგარიშში ჩაუგდებდენ“ (1701 წ. ხეც, Hd - 13).

2. ანგარიშის წიგნი სამღივანბეგოსი. XVIII ს.: „თ (ცხრა თუმანი) შაქარამ ჩელიექიდან და საყარაულოდამ და ბექდიდამ...“ (ნ. ბერძენიშვილი, 1955: 135).

3. იჯარის ხარჯის წიგნი, 1789-91 წწ.: „ამ წელს ჩელიექი და საყარაულო და მარილი სიძე შაქარას და იოსებას იჯარით ჰქონდათ. რაც ჩვენთვის მოუციათ და დაგვიხარჯამს, ამას ქვეით სწერია...“ (ნ. ბერძენიშვილი, 1953: 245).

4. ბრძანება გიორგი მეფისა დავით ბატონიშვილისადმი, 1799 წ.: „ჩელიექს მობარათე დიდათ აწუხებს სადმე ვისაც ჩვენი ბარათი ჰქონდესთ. ორმოც დღემდის ყველა ბარათი დაყენებული უნდა იყოს და ჩვენთვის აიღებდეს, მოგვახსენო რაც იყოს... კაკალა რომ დაუსვამთ მოხელეებსა, მაღამდინ იჯარადარი გამოჩნდებოდეს, თვალი მაგას უნდა ეჭიროს... ჩელიექი, ასრევე ღვინის ბაჟი ამანათქარს თათულისი რომ მაგასაც ნურავის შეაწუხებინებ...“ (ხეც, Sd – 1027).

5. მოურავის სარგო. XIX ს. I მესამედი: „პირველად ჩელიექისა მქონდა ოთხმოცი თუმანი... ახალწლის საქარი მამერომეოდა ასნაფიდამ, 24 მინალთუნი აღდგომას ბატკანს მამგვრიდა ყოველი ასნაფი, ამის ფასი 4 თუმანი. 1 იანვარი რომ დადგებოდა, სამი დღე ქალაქის კარები მე მეჭირა, რაც ბაჟი შემოვიდოდა, ნახევარს მე ავიღებდი და ნახევარი სამეფო იყო, ამას რაოდენობა არ ერგო. ბევრჯერ ბევრს ავიღებდით, ბევრჯერ ცოტასა. აქედამც 20 თუმანი მომივიდოდა. წელიწადში ყასბებს ნიხრს რომ გადაუჭრიდით, ამათგან...“ (კ. კუცია, 1984: 200).

**ხარაბა** – დაქცეული – დ. ჩუბინაშვილი: ტიალი, ოხერი ადგილი – არ. – ი. გრიშაშვილი.

ტფილისის სიონის მამულების აღწერა, 1740 წ.: „ხარაზ ხანაში ერთი და ნახევარი უგირაო დუქანი არისო, სამრეკლოს ქვეშ ზემო მხარისაკენ პატარა დუქანი ხარაბაო, კიდევ ამის გვერდით ოთხი დუქანი დაქცეული და გასწორებულიაო...“ (ს. კაკაბაძე, 1913: 55-56).

**ხრიდი / ხარიდი** – ნასყიდი – სპ. საამხანაგო წიგნი ნაზარასი, 1801 წ.: „მოზდოკს თანხით გარდა ერთი ფართი სანათი (ხელწერილი) მიმაქვს, შაროანთ პარუნ შაროასი არის, თავნი არის, რომ ამის სავაღზე (პირი) მე ხელი მიმაქვს. კიდევ ერთი ფარდი სანათი მიმაქვს. ზურაბასშვილი სოლომონასი, რომ ამის სავაღზედაც ხელი მოვაწერე... ეს ზემო თეთრი უნდა ავიღო, მაკარიას წავიდე, უნდა ხრიდი ვქნა. ღმერთმა მგება მოიტანოს... ხრიდი აქ გამოვიტანე, ამის მოგება იქნან... ეხლა რომ წავიდე მოზდოკს და მაკარიას, ხრიდი მოვიტანო...“ (ცსა, 1450, ფ. 14, საქმე 148).

**ჯუქამი** – დანაკლისი – (დ. ჩუბინაშვილი): სათუო, აუსრულებელი საქმე – (ი. გრიშაშვილი). საამხანაგო წიგნი ზურაბასი სტეფანასადმი, 1779 წ.: „რაც ღმერთმა მოგვცეს, მოგება ნახევარი შენი სამოცი თუმანი სარმაით, შენ ბატონი სტეფანასია და ნახევარი მოგება მე ზურაბასია... ჯუქამი, ესეც მოგების კვალით არის, როცა მოინდომებ, შენი სარმია გავანაღლო და თავისი ანგარიშით მოგაბარო, რაც თარღუ ვქნა, ისიც შუა მოვიტანო“ (ცსა, 1450, ფონდი 18, საქმე 21).

აღნიშნული პერიოდის ქართულ (სავაჭრო-ეკონომიკურ) ისტორიულ საბუთებში გამოიყენება აღმოსავლური ფულის აღმნიშვნელი სიტყვები: ბისტი – ოთხი ფული, ყურუში – 1 მარჩილი ან 40 ფარა, რუბი – ყურუშის მეოთხედი (10 ფარა), მარჩილი – 3 აბაზი. საწყაო ერთეულები: ხაყათი, ჩარეკი – მეოთხედი და ა. შ.

### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

- მ. ანდრონიკაშვილი, 1996 .. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბ., I, 1966; II, 1996.
- ი. აბულაძე, 1938 – ი. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, თბ., 1938.
- ნ. ბართაია, 2011 – ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა, თბ., 2011.
- ნ. ბერძენიშვილი, 1953 – ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბ., 1953.
- ნ. ბერძენიშვილი, 1955 – ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, თბ., 1955.
- ვ. გამრეკელი, 1980 – Гамрекелли В., Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии, I, Тб., 1980.
- ი. გრიშაშვილი, 1997 – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა), თბ., 1997.
- ი. დოლიძე, 1965 – ი. დოლიძე, ი. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965.
- ს. კაკაბაძე, 1913 – ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, 1913.
- კ. კუცია, 1984 – კ. კუცია, ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984.
- ქ. ლორთქიფანიძე, 1994 – ქ. ლორთქიფანიძე, თურქულიდან ნასესხები ლექსიკა შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში, სადისერტაციო ნაშრომი, 1994.
- დ. უჩანეიშვილი, 1967 – დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1967.
- ქიმ – ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მასალები.
- დ. ჩუბინაშვილი, 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
- ცია – ცენტრალური ისტორიული არქივის მასალები.
- ციმ – ცენტრალური ისტორიული მუზეუმის მასალები.
- ხეც – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალები.

## RUSUDAN KASHIA

### ORIENTAL VOCABULARY ACCORDING TO GEORGIAN HISTORICAL (COMMERCIAL-ECONOMIC) DOCUMENTS

Close political and cultural relations with the oriental world contributed to the transfer of Oriental borrowings into the Georgian language such as *batlama*, *borji*, *dapati*, *tamasuki*, *tardu/tardo*, *mabpali*, *mujasma*, *rusumi*, *sarmia*, *savadi*, *sanati*, *urduna*, etc.

The proposed Oriental words mainly occurred in the historical documents with commercial and economic content at the end of the 17th and in the 18th century. No such terms are attested in earlier documented sources and it is worth noting that they do not occur in the historical documents of different nature (i.e. deeds of purchase, attribution).

Some of the words have acquired a new meaning in Georgian, while others maintained a slightly modified form.

Semantic evaluation of the borrowings is crucial for the study of the materials documented in Georgian.